საბერძნეთში მცხოვრები ქართველი მიგრანტების ფსიქოლოგიური მდგომარეობა: დეპრესია და ცხოვრებით კმაყოფილება. რა ფაქტორები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს?

ნინო არაჩემია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ია შეყრილაძე ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო არაჩემია

25.12.2022

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ია შეყრილაძეს დახარჯული დროის, ენერგიის და რესურსების გამო, რომელიც მან ჩემთან მუშაობის პროცესში გამოიყენა. მადლობა მას ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი თანადგომისთვის, დახმარებისთვის, მოწოდებული უკუკავშირებისთვის და კვლევის პროცესში ჩართულობისთვის.

ასევე, მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინო სხირტლაძეს, „სამაგისტრო სემინარი“-ს ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის და მოწოდებული უკუკავშირისთვის.

აბსტრაქტი

სამყაროს განვითარებასთან ერთად ნელ ნელა სახელმწიფოებს შორის საზღვარი თითქოს უხილავი ხდება და ადამიანებს მეტად თავისუფლად შეუძლიათ გადაადგილდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, მათ საშუალება ეძლევათ ისწავლონ, იმუშაონ, იცხოვრონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რაც მეტი დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება მიგრაციის თემა, ვინაიდან მიგრანტების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. მიგრაციის მატებასთან ერთად გამოვლინდა ის ფაქტორები, რომლებიც მათ ხელს უშლის მასპინძელ ქვეყანაში თავი კომფორტულად იგრძნონ. კვლევის მიზანია, გამოავლინოს მიგრანტების ფსიქოლოგიური მდგომარეობების, დეპრესიისა და ცხოვრებით კმაყოფილების წინასწარმეტყველი და განმსაზღვრელი ცვლადები. კერძოდ, რა მიმართება აქვს მასპინძელი ქვეყნის ენის ცოდნას, აღქმულ კულტურათაშორის მანძილს, მასპინძელი ქვეყნის მიმართ არსებულ მოლოდინებს, ფსიქოლოგიურ ადაპტაციას, დეპრესიასთან და ცხოვრებით კმაყოფილებასთან. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა და გამოყენებულია ონლაინ გამოკითხვის მეთოდი. მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 77-ს. მონაცემები სტატისტიკურად დამუშავდა და ცლადთა შორის კავშრების დასადგენად მოხდა ცვლადთა კორელაციური და რეგრესიული ანალიზის ჩატარება.

შედეგების თანახმად დადგინდა, რომ ფსიქოლოგიური ადაპტაცია დადებითად წინასწარმეტყველებს ცხოვრებით კმაყოფილებას და უარყოფითად წინასწარმეტყველებს დეპრესიას. როგორც აღმოჩნდა, მასპინძელი ქვეყნის ენის არ ცოდნა, აღქმული კულტურათაშორის მანძილი და გაუმართლებელი მოლოდინები ახალი ქვეყნის მიმართ არ წამოადგენს დეპრესიის დადებით პრედიქტორებს, რადგან მოლოდინების და აღქმული კულტურათაშორის მანძლის კონტრიბუცია არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ენის ცოდნა, როგორც პრედიქტორი, სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ცხოვრებით კმაყოფილებაზე, თუმცა მოლოდინები ახალი ქვეყნის მიმართ, როგორც პრედიქტორი, არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი კონტრიბუციით რეგრესულ მოდელში. კვლევის შედეგი ხელს შეუწყობს მიგრანტებისთვის არსებული გამოწვევების დადგენასა და შემდეგში უკვე შესაძლებელია ამ გამოწვევების შემცირებაზე მუშაობა შესაბამის ორგანოებში. კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები წარმოგვიდგენს მიგრაციაში

წარმოქმნილ პრობლემებს, მათ მნიშვნელობას და დაგვანახებს ამ სფეროში არსებულ გლობალურ სურათს.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრანტი, ცხოვრებით კმაყოფილება, დეპრესია, ფსიქოლოგიური ადაპტაცია, მასპინძელი ქვეყნის ენის ფლობა, მოლოდინები, აღქმული კულტურათაშორის მანძილი.

Abstract

With the development of the world, the border between the states seems to be becoming invisible and people can move more freely from one country to another, they have the opportunity to study, work and live in different countries of the world. As more time passes, the topic of migration becomes more relevant, as the number of migrants increases more and more. With the increase in migration, the factors that prevent them from feeling comfortable in the host country have been revealed. The aim of the study is to reveal the predictor and determinant variables of migrants' psychological states, depression and life satisfaction. In particular, what is the relationship between knowing the language of the host country, perceived intercultural distance, expectations towards the host country, psychological adaptation, depression and life satisfaction. The research is quantitative in nature and an online survey method is used. The number of participants is 77. The data were processed statistically and correlation and regression analysis of variables was performed to determine the relationships between the variables.

According to the results, it was determined that psychological adaptation positively predicts life satisfaction and negatively predicts depression. As it turned out, lack of knowledge of the language of the host country, perceived intercultural distance and unrealistic expectations towards the new country are not positive predictors of depression, because the contribution of expectations and perceived intercultural distance is not statistically significant. Language proficiency as a predictor has a statistically significant effect on life satisfaction, although expectations for the new country as a predictor do not make a significant contribution in the regression model. The result of the research will help to determine the challenges for migrants and then it is possible to work on reducing these challenges in the relevant authorities. The results obtained on the basis of the research present the problems arising in migration, their importance and will show us the global picture in this field.

Key words: migration, migrant, life satisfaction, depression, psychological adaptation, language proficiency of the host country, expectations, perceived intercultural distance.